პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 აპრილი, კვირა, 1986 წ.
№ 77 (9168) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის თასი ქართველ მესტენდურეებს

თამაზ იმნაიშვილი

გია შენგელია

დავით ქვათაძე

ჩვენმა მესტენდურეებმა წლევანდელ, მათთვის იღბლიანად დაწყებულ სპორტულ სეზონში კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს: ოდესაში გამართულ მესტენდურეთა საკავშირო თასის გათამაშებაში მრგვალ სტენდზე სროლაში ქართველმა სპორტსმენებმა დამაჯერებლად დაამარცხეს ყველა მეტოქე და საპატიო ჯილდო მოიპოვეს.

არ გვიკვირს, როდესაც რომელიმე ჩვენი სპორტსმენი ასეთი რანგის შეჯიბრებაზე იმარჯვებს, მაგრამ რესპუბლიკის გუნდებისათვის მსგავსი წარმატების მოპოვება უძნელეს ამოცანად ითვლება. მხოლოდ ხანდახან, ისიც ძალების დიდი მობილიზაციის დროს თუ გაიბრწყინებს ტრადიციულად ძლიერი ქართული საჭიდაო სკოლის წარმომადგენელთა ნიჭი. სასტენდო სროლაში კარგი ტრადიციები გვაქვს, მაგრამ საკავშირო თასის მოპოვება მაინც გამორჩეულად სასიხარულოა ჩვენთვის.

როგორც იცით, ასპარეზობაზე პირველი დღის შემდეგ 218-218 ქულით საქართველოსა და რსფსრ-ის სპორტსმენები ლიდერობდნენ. მეორე დღე კი „ჩვენი გუნდის დღე" იყო. სამივე სერიაში ბრწყინვალედ ისროლეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თამაზ იმნაიშვილმა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დავით ქვათაძემ. ჩვენმა სპორტსმენებმა 75-ვე სამიზნე დააზიანეს. გუნდის მესამე წევრმა გია შენგელიამ ამჯერად 72 ქულა მოაგროვა. ამ ისედაც დაწინაურებული გუნდის დამარცხება, რომლის წევრებმა 225 გასროლიდან მხოლოდ სამჯერ ააცდინეს მიზანს, თითქმის უიმედო საქმე იყო და რსფსრ-ის მესტენდურეები მარცხს შეურიგდნენ. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა 440 ქულით დამსახურებულად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. მეორე ადგილზე 436 ქულით რსფსრ-ის ნაკრები გავიდა, მესამეზე — აზერბაიჯანის გუნდი — 432.

პირად ჩათვლაში ორი დღის შემდეგ 147-147 ქულით ერთბაშად 9 (1) სპორტსმენი დაწინაურდა. მათ შორის იყვნენ თამაზ იმნაიშვილი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გია შენგელია. ქვათაძეს, რომელიც მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდა, წარმატებით შეეძლო საპატიო პრიზისთვის ბრძოლა (სპორტსმენებს კიდევ ორი სერია — 50-50 გასროლა დარჩათ). იმნაიშვილი გუნდური პირველობის დამთავრებისთანავე ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში იტალიაში, დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაემგზავრა და ამრიგად, პირად პირველობაში საკავშირო თასის მაძიებელთა რიცხვს გამოაკლდა. შეჯიბრება ოდესაში გუშინ დამთავრდა.

ელვა-ინფორმაცია

დაწინაურდა ვახტანგ იაგორაშვილი

ერევანში მთავრდება საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. ოთხ სახეობაში ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი. მას 4176 ქულა აქვს. ვახტანგს მხოლოდ 8 ქულით ჩამორჩება როსტოველი ტროპინი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დარჩენილია მძლეოსნური კროსი, იაგორაშვილი კი სწორედ ამ სახეობაშია უძლიერესი, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

ქეთევან კახიანს — მსოფლიო პირველობის საგზური

ევპატორიაში დასასრულს უახლოვდება 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი, ბოლო, XIII ტურის წინ ქეთევან კახიანი I-II ადგილებს იყოფს. მაგრამ მან უკვე მოიპოვა 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო პირველობის საგზური, რომელიც ამავე ტურნირში თამაშდებოდა. კახიანმა აჯობა თავის მთავარ კონკურენტს ბაქოელ ოსტატ ა. სოფიევას, რომელსაც მხოლოდ 4 ქულა აქვს.

3 მაისს

ექლენება ბეჭდვითი სიტყვის დღეს

საქართველოს სპორტკომიტეტის საგანგებო გადაწყვეტილებით 3 მაისს ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებები.
ამ ღონისძიების ჩატარების ორგანიზაციაში სპორტკომიტეტებთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა. პროგრამაშია მასობრივი კროსები და ესტაფეტები, მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, ველოგადარბენები, მოეწყობა აგრეთვე ტურისტული ლაშქრობები და შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში.
ამ დღეს საზეიმო ვითარებაში უნდა მივცეთ ოფიციალური სტატუსი გამაჯანსაღებელ კლუბებს, გზა დავულოცოთ საცხოვრებელ ადგილებში ბავშვთა ახალ სპორტულ სექციებს, ჯანმრთელობის ჯგუფებს.
აქედანვე ვემზადოთ 3 მაისის მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად.
მოგვწერეთ რას დაგეგმავთ, რა სიახლეებს შემოგვთავაზებთ?
ველით თქვენს გამოხმაურებას!

რას უქადით ფინიში?

გადამწყვეტი დღეები დადგა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 53-ე ჩემპიონატში, რომელიც კიევში ტარდება. გაიზარდა თითოეული შეხვედრის მნიშვნელობა.

XII ტურში საერთო ინტერესი გამოიწვია ლიდერების ბალაშოვისა და ლერნერის შეხვედრამ, მაგრამ მას ლიდერთა თანმიმდევრობა არ შეუცვლია, რადგან პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამ დღეს მალანიუკმა დაამარცხა რაშკოვსკი. დაზავდნენ ხალიფმანი — გავრიკოვი, იაკოვიჩი — ლპუტიანი, ცეშკოვსკი — დოლმატოვი.

გადაიდო პარტიები: დვოირისი — გურევიჩი, სმაგინი — აზმაიფარაშვილი, ბარეევი — იუდასინი, ეინგორნი — ბელიავსკი.

12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: იური ბალაშოვი (მოსკოვი) — 8 ქულა, კონსტანტინ ლერნერი (ოდესა) — 7,5, ვლადიმერ მალანიუკი (სევასტოპოლი) — 7 (1), ალექსანდრე ხალიფმანი (ლენინგრადი) — 7, ვიტალი ცეშკოვსკი (კრასნოდარი) — 6,5 (2).

ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტური დარჩა.

თეიმურაზ აფხაზავამ წმინდად გაიმარჯვა

პირეი (საბერძნეთი). თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ადგილობრივ სპორტის სასახლეში „კლასიკოსებმა" შეცვალეს. ევროპის ჩემპიონატში 23 ქვეყნის 162 უძლიერესი ათლეტი მონაწილეობს.

პირველი წრის შეხვედრები საბჭოთა სპორტსმენებმა კარგად ჩაატარეს — დამარცხდა მხოლოდ გროზნოელი ხავაჟ მულაევი (90 კგ.) მაყურებელთა საერთო სიმპათიებით სარგებლობს საბჭოთა ნაკრების ვეტერანი, მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონი, 30 წლის ქუთაისელი მოჭიდავე თეიმურაზ აფხაზავა, რომელმაც პირველი შეხვედრა წმინდად მოიგო.

წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს, აგრეთვე, ომსკელმა ტიმერჟან კალიმულინმა (57 კგ), ლენინაკანელმა ლევონ ჯულფალაკიანმა (68 კგ), და მძიმეწონოსანმა ნიკოლოზ მაკარენკომ (ბელაია ცერკოვი), რომელიც ამ რანგის ტურნირში პირველად ასპარეზობს.

გუშინ მთელი ჩვენი ქვეყანა კომუნისტური შრომის ენთუზიაზმმა მოიცვა. რესპუბლიკის შრომით ფერხულში აქტიურად ჩაებნენ ფიზკულტურელები და სპორტსმენები, სპორტის მუშაკები. დილიდანვე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი თბილისის მთავარ სპორტულ ბაზებზე, საზოგადოებრივი გართობა-დასვენების ადგილებში, ბევრგან მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღო მიკრორაიონების სპორტული მოედნების დასუფთავებასა და კეთილმოწყობაში.

ეს ფოტოსურათები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა თბილისის სპორტულ ბაზებზე გადაიღო. აი, ასე დაუზარებლად გაისარჯნენ ლენინური შაბათობის მონაწილენი ამ დღეს.

საქართველოს ღია პირველობა სინქრონულ ცურვაში

ორიგინალური ელემენტებით

წლევანდელი წლის დასაწყისში საქართველოს სინქრონული ცურვის ნორჩ ოსტატთა შეჯიბრებამ ვერაფრით გაგვახარა. მათი მომზადების დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ამიტომ სპეციალისტები დიდი ინტერესით ელოდნენ 1969 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ სპორტსმენთა ღია რესპუბლიკურ პირველობას, რომელიც თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გაიმართა. შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ერევნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

— დიახ, წლევანდელი სეზონის დასაწყისში ნორჩი სპორტსმენების გამოსვლამ მეტად შეგვაშფოთა, — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა სინქრონულ ცურვაში ნატალია მაშუკმა,—მწვრთნელებთან მაშინ სერიოზული საუბარი გვქონდა. როგორც ჩანს, შეჯიბრების შედეგების ანალიზმა და აზრთა ურთიერთგაზიარებამ ნაყოფი გამოიღო, — ამ შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ იანვრის შემდეგ ნორჩი სპორტსმენები მნიშვნელოვნად დაწინაურებულან.

იმ მწვრთნელებიდან, რომლებიც ცდასა და მონდომებას არ აკლებენ თავიანთ საქმეს, უწინარეს ყოვლისა, ქუთაისელი ტატიანა კოსტარიოვა უნდა დავასახელოთ.

ტატიანა წინათ მოცურავე იყო, სპორტის ოსტატი და რესპუბლიკის ჩემპიონიც მრავალჯერ გამხდარა. მერე, როცა საქართველოში სინქრონულმა ცურვამ თანდათან მოიკიდა ფეხი, ტატიანამ „პროფესია" გამოიცვალა. როგორც მაშუკმა გვითხრა, ტატიანამ სინქრონული ცურვის სპეციფიკას ალღო კარგად აუღო. უფროსი მწვრთნელის შეფასების სისწორეში ისიც გვარწმუნებს, რომ ამ შეჯიბრების მონაწილე საქართველოს ნაკრების ხუთი წევრიდან ორი ტატიანას აღსაზრდელი იყო. დიახ, ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის წარმომადგენლებმა ანჟელა ვოზნიუკმა და ელისო მარგველაშვილმა ერთეულთა გამოსვლაში შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, წყვილთა გამოსვლაში კი ამ გოგონების „დუეტი" მეორე იყო, ჯგუფურ გამოსვლაში კი მათ მანანა ჩანქსელიანთან და ნინო ჩოგოვაძესთან ერთად ყველას აჯობეს. სპეციალისტთა აზრით, ამ გოგონების რეპერტუარი საინტერესო, ორიგინალური ელემენტებით გამოირჩევა. მათი წარმატებები, იმედია, ხელს შეუწყობს ქუთაისში სინქრონული ცურვის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელი და თბილისელი სპორტსმენები „ცუდი" მასპინძლები აღმოჩდნენ — ერთის გარდა არცერთი საპრიზო ადგილი არ დაუთმეს ერევნელ სპორტსმენებს.

ნინო მაისურაძე

როგორც აღვნიშნეთ, შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების ხუთი წევრი გამოდიოდა. მათთვის ეს ასპარეზობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ ნებისმიერი პროგრამის ახალი კომპოზიციები გამოსცადეს და, უნდა ითქვას, წარმატებითაც.

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა შეარჩევს იმ გოგონებს, რომლებიც ანალოგიურ საკავშირო ასპარეზობაში გამოვლენ. ეს შეჯიბრება თბილისში გაიმართება.

ავთანდილ გურასაშვილი.
ავტორის ფოტოები.

მანანა ჩანქსელიანი, ნინო ჩოგოვაძე, ელისო მარგველაშვილი და ანჟელა ვოზნიუკი.

კვარცხლბეკი

ერთეულები. ნ. მაისურაძე („კოლმეურნე", თბილისი) — 152,11, ა. ვოზნიუკი — 142,99, ე. მარგველაშვილი (ორივე — ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა) — 141,19,

წყვილები. ი. ალავიძე — მაისურაძე („კოლმეურნე", თბილისი) — 146,34, ვოზნიუკი — მარგველაშვილი — 141,99, ე. ბაიბურტიანი — ი. ქეროფიანი (ერევანი) — 132,64.

ჯგუფური. ქუთაისი (ვოზნიუკი, მარგველაშვილი, ნ. ჩოგოვაძე, მ. ჩანქსელიანი) — 118,06, თბილისი-I (გ. მელაძე, მ. ბროლაძე, ი. არაქელოვა, დ. შაველაშვილი, ტ. მენაბდე, ი. ტარუაშვილი, ლ. შმარკოვსკაია) — 108,09, თბილისი-II (ქ. ოორამაშვილი, ე. კაჭარავა, ე. რუხაძე, ნ. უნჯიევა) — 97,6.

წერილმა გზად გვიხმო

დაპირებად თუ არ დარჩება...

ფასანაურიდან წერილი მივიღეთ. იქაური ახალგაზრდები გვწერდნენ, სოფელში ერთი მარტივი ტიპის მოედანიც კი არა გვაქვს და არც მის მოწყობაზე იწუხებს ვინმე თავსო.

ფასანაურში ორი ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს, მათგან, მოსწავლეებს თუ არ ჩავთვლით, 500-მდე ახალგაზრდაა. ასეთ დიდ დაბაში თუ ერთი საბურთაო მოედანიც კი არ ჰქონდათ, ამას როგორ წარმოვიდგენდით, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. დიახ, ფასანაურელ ახალგაზრდებს ბოლო ხუთი-ექვსი წელია არც შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ჩაუტარებიათ და არც რაიონულ პირველობებში მიუღიათ მონაწილეობა. მშდ-ს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ისინი მხოლოდ ახლახან გამართულ რაიონულ პირველობებზე გამოჩნდნენ, მაგრამ ამაზე ქვემოთ... ფასანაურელთა ჩამორჩენის მიზეზი სადაბო საბჭოსა და სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა (თავმჯდომარე ადამ აფციაური, პარტიული კომიტეტის მდივანი ვალიკო აფციაური, პროფორგანიზაციის თავმჯდომარე ალექსი მოთიაშვილი, ალკკ კომიტეტის მდივანი მაია წიკლაური) უყურადღებობა და სპორტული მოედნებისა და დარბაზის უქონლობა ყოფილა (საშუალო სკოლაშიც კი, სადაც ოთხასზე მეტი მოსწავლე სწავლობს, მხოლოდ ერთ მომცრო ოთახში ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილი). სადაბო საბჭოსა და კოლმეურნეობის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სპორტისადმი გულგრილი დამოკიდებულება რომ არ გამოეჩინათ, საკოლმეურნეო წეხდების მოთხოვნები რომ შეესრულებინათ, ფასანაურში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა არ ჩაიშლებოდა.

...ახალგაზრდების წერილი ფასანაურის სადაბო საბჭოს თავმჯდომარეს ვალერიან ამირიძეს გავაცანით.

— მათი მოთხოვნა სწორია და სამართლიანი, — გვითხრა მან. — მართალია, ჩვენი სოფელი მთაგორიანია და ვაკე ადგილის გამოძებნა გვიჭირს, მაგრამ ასეთი მიზეზი თავის გასამართლებლად არ გამოგვადგება. თებერვალში ჩავატარეთ სოფლის ყრილობა, იქ ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაზეც ბევრი რამ ითქვა. დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი დაგვპირდა, რომ 1987 წლისთვის საჭიდაო დარბაზი გვექნება. სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებით, მდინარე არაგვის რიყეზე სპორტული კომპლექსის მოსაწყობად ერთი ჰექტარი ფართობი გამოვყავით. ცხრა მაისისთვის ეს ადგილი მოსწორდება და მავთულბადით შემოილობება. ვეცდებით ფრენბურთის, კალათბურთის მოედნებისა და ღია საჭიდაო არენის მოწყობაც ამ დროისათვის მოვასწროთ.

ფასანაურელ ახალგაზრდებთან ერთად ჩვენც გვინდა ვირწმუნოთ, რომ ხელმძღვანელობის სიტყვა და საქმე ამჯერად მაინც შეავსებს ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ერთგვარი წინსვლა იგრძნობა — კოლმეურნეობაში მეთოდისტის ნახევარ განაკვეთზე შეთავსებით დაინიშნა ფიზკულტურის მასწავლებელი ზურაბ ოსიტაშვილი, რომლის ხელმძღვანელობით ფასანაურელმა ახალგაზრდებმა რაიონულ პირველობაზე სპორტის სამ სახეობაში იასპარეზეს: ფრენბურთში ყველას აჯობეს, კალათბურთსა და ხათხილამურო რბოლაში კი მეორე ადგილზე გავიდნენ.

ვაჟა დანელია.
(„ლელოს" სპეც. კორ.).

ფასანაური.

საქართველოს IX სპარტაკიადა

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი **ლევან ჭავჭავაძე** ბათუმიდან გვატყობინებს.

ფავორიტის დამაჯერებელი გამარჯვება

ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს IX საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და წყალტუბოს ნაკრები კოლექტივები. შეჯიბრებას რატომღაც თავი აარიდეს ბოლნისელმა ფრენბურთელებმა. როგორც ჩანს, ისინი, რაიონის სპორტის მესვეურებთან ერთად, ზონალურ ტურნირში მოპოვებული გამარჯვებით დაკმაყოფილდნენ, ის კი დაივიწყეს, რომ სპორტსმენისათვის ყოველ შეჯიბრებაში მონაწილეობა, მით უმეტეს სასპარტაკიადო ტურნირში გამოსვლა, შემდგომი დაოსტატების საუკეთესო საშუალებაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება ტურნირის ფავორიტებმა თბილისელმა ფრენბურთელებმა მოიპოვეს. მათი უპირატესობა მთელი ტურნირის მანძილზე აშკარა იყო. ლიდერს ღირსეული წინააღმდეგობა ვერც ერთმა მეტოქემ ვერ გაუწია.

ერთადერთი შეხვედრა, რომელმაც მაყურებელთა ინტერესი გამოიწვია, ქუთაისისა და აჭარის ფრენბურთელთა მატჩი გახლდათ. ასპარეზობამ სამსაათნახევარს გასტანა. მართალია, მისი მონაწილენი დიდი ოსტატობით ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ მონდომება არ აკლდათ და გაафთრებითაც იბრძოდნენ. ხუთი პარტია მძაფრ ბრძოლაში მიილია. შეხვედრა აჭარის ნაკრები გუნდის გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა ამას არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია სატურნირო ცხრილში— სპარტაკიადის მესამე პრიზიორი სამხრეთ ოსეთის კოლექტივი გახდა.

ეს სახეობა სუსტადაა განვითარებული პერიფერიებში, — თქვა საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ლ. სტეფანიანმა— თავად განსაჯეთ, ნაკრები გუნდის 18 წევრიდან 16 თბილისელია, მხოლოდ ორი, ი. ჩაჩუა და ალ. პროხოროვი მოვიწვიეთ ქუთაისიდან. არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ბათუმელმა სპორტის მოყვარულებმა ჭეშმარიტად დიდი ფრენბურთი ვერ იხილეს. საქმე ის არის, რომ წლევანდელ სპარტაკიადაზე, როგორც რესპუბლიკურზე, ისე საკავშიროზე, მხოლოდ ოც წლამდე ასაკის სპორტსმენები დაიშვებიან. ამიტომ, ბუნებრივია, აქ ყველა უძლიერესი არ ჩამოსულა.

● ამ სპორტსმენების გამოყვანა მოგიწევთ საკავშირო სპარტაკიადაზე. რისი იმედი გაქვთ?

— ჩვენს ქვეჯგუფში გამოვლენ რუსეთის, უკრაინისა და ყირგიზეთის ნაკრები გუნდები. რუსეთისა და უკრაინის გუნდებს ამ ასაკის, ე. ი. ოც წლამდე ასაკის 5-5 მსოფლიო ჩემპიონი ჰყავთ. რისი იმედი უნდა გვქონდეს? მაგრამ სინამდვილეს სად გაექცევი? ასე რომ, ფარ-ხმალს მაინც ვერ დავყრით. ბიჭები დიდი მონდომებით მეცადინეობენ. საკავშირო სპარტაკიადამდე დარჩენილი დროის მანძილზე ისინი კიდევ უფრო დახვეწენ ოსტატობას, უფრო შეთამაშებულ კოლექტივად ჩამოყალიბდებიან და ეცდებიან ქულები შემატონ რესპუბლიკის სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ ქულათა საერთო მარაგს.

ქვლავ გაგვახარეს

ამ რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოზარდმა მოკრივეებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს გროდნოში, დნეპროპეტროვსკსა და მოსკოვში გამართულ ტურნირებში, და აი, დღეს სასიხარულო ცნობა მივიღეთ უკრაინიდან.

ვოროშილოვგრადში გამართულ 1970-1971 და 1972-1973 წლებში დაბადებულ მოზარდ მოკრივეთა საკავშირო ტურნირში, რომელშიც უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთისა და სხვა რესპუბლიკების კოლექტივებთან ერთად საქართველოს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის (დირექტორი თამაზ კუჭავა) გუნდიც მონაწილეობდა, უფროს ასაკობრივ ჯგუფში პირველი პრიზები დაიმსახურეს სპარტაკ კალანოვმა (52 კგ) და ჯემალ ტაბატაძემ (85). II ადგილებზე გავიდნენ ირაკლი არაბული (48), დავით წოწორია (60), ლუხუმ თოთიაური (63) და მიხეილ ბახტაძე (66).

უმცროს ასაკობრივ ჯგუფში ყველას აჯობეს ჯანგირ ამოევმა (50), მამუკა წიკლაურმა (54) და ალეკო მღებრიშვილმა (60).

შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს თამაზ კუჭავამ, ირაკლი არაბულმა, ვალიკო გოგოაძემ და სოსო წინამძღვრიშვილმა.

მიმდინარეობს „ლელოს" რედაქციისა და საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ერთობლივი რეიდი — საცხოვრებელ ადგილებში ზაფხულის სეზონისთვის სპორტული მოედნების მზადყოფნის დათვალიერება.

სარეიდო ბრიგადამ ამჯერად თბილისის ოქტომბრისა და კალინინის რაიონების საცხოვრებელი უბნების სპორტული მოედნების მდგომარეობა შეამოწმა. უნდა ითქვას, რომ დედაქალაქის ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა მკაცრი კონტროლი დააწესეს საცხოვრებელ ადგილებში სპორტული ბაზების მოწესრიგება-კეთილმოწყობაზე, რაც უდავოდ მისასალმებელია. მაგრამ, კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, ტემპი არ უნდა შენელდეს, ახლა მთავარია, ვიზრუნოთ მოსახლეობას შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ ორგანიზაციაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ სპორტულ სექციებში მოზარდთა მოზიდვას. მიკროუბნებში მოედნების მოწესრიგებაზე რომ ვზრუნავთ, არც გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობა უნდა დაგვავიწყდეს. აქ კი პრაქტიკულ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ თვით მოსახლეობა, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობები და რეზერვი. რედაქცია ამიერიდან განსაკუთრებით ამ საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას.

9 იანვრის ქ. № 17. კალათბურთის ფარის შეკეთების მომენტი.



ოქტომბრის რაიონი. ეს საბავშვო აუზი, რომელიც გამწვანების კანტორის ეზოში მდებარეობს, სამი წელიწადია ასე გამოიყურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოს" სტადიონი 50 წლისაა



ნახევარი საუკუნე! ადამიანზე ასეთ შემთხვევაში იტყვიან ცხოვრების ეკვატორს მიაღწიაო. რა ვთქვათ სტადიონის შესახებ, რომელსაც ასევე ხუთი ათეული წელიწადი შეუსრულდა? „ეკვატორზე" თავს შევიკავებთ, რადგან ჩვენი „დინამო" ერთდროულად ახალგაზრდაც არის და ჭარმაგიც. დიახ, რკინა-ბეტონისაგან მაგრად შეკრული ეს გიგანტური სპორტული ნაგებობა მყარად დგას დედამიწაზე და დროდადრო თუ იცვლის იერ-სახეს.

მწყობრში 1936 წელს ჩადგა — თითქოს ელოდა იმ დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სტარტს აიღებდა დიდი ფეხბურთი, გაიმართებოდა პირველი საკავშირო ჩემპიონატი საკლუბო გუნდებს შორის. თბილისის „დინამო" მაშინ (1936 წლის გაზაფხულზე) მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის გამოდიოდა, მაგრამ უკვე მომდევნო გათამაშებაში უძლიერესთა რიგებში თამაშის უფლება მოიპოვა.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი მატჩი ვიხილეთ „დინამოს" ტრიბუნებიდან, მის მწვანე გაზონზე გამართული მრავალი დაუვიწყარი პაექრობის მოწმენი გავხდით. ბასკეთის ნაკრები და ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი", უნგრეთის „დოჟა-უიპეშტი" და საფრანგეთის „ჟირონდა", დასავლეთგერმანული „ჰერტა", იტალიის „ინტერი", ბრაზილიის „ბაია" — აი, საზღვარგარეთის იმ გუნდების არასრული სია, რომელთაც „დინამოს" სტადიონზე მასპინძელთა გუნდთან უასპარეზიათ. ახლა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლექტივები — მოსკოვის „დინამო" და „სპარტაკი", ცსკა და „ტორპედო", კიევის „დინამო", ლენინგრადის „ზენიტი". ძველ გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ ბორის პაიჭაძისა და გრიგოლ ფედოტოვის, გაიოზ ჯეჯელავასა და ვსევოლოდ ბობროვის, ავთანდილ ღოღობერიძისა და ალექსანდრე პონომარიოვის, შოთა იამანიძისა და იგორ ნეტოს, მიხეილ მესხისა და ვალენტინ ივანოვის, სლავა მეტრეველისა და ვიქტორ პონედელნიკის ვირტუოზული თამაში. ახსოვთ ტყავის ბურთის უცხოელი დიდოსტატებიც — ისიდრო ლანგარა და ლეონარდო სილაურენი, ტადეუშ სიზოვსკი და დერეკ კევანი, ჯაცინტო ფაკეტი, მანგა, კიგანი...

მაგრამ „დინამო" მარტო ფეხბურთელების ასპარეზი როდია. აქ არაერთი საინტერესო შეჯიბრება გამართულა მძლეოსნობაში, კალათბურთში, გვინახავს ტანმოვარჯიშეთა, მოჭიდავეთა, მოკრივეთა, ძალოსანთა, ველომრბოლელთა გამოსვლები.

დღეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი 50 წლისაა. მისი 75-ათას ადგილიანი ტრიბუნები კვლავ დიდ ასპარეზობათა მოლოდინში არიან.

დიახ, 50 წლისას კვლავ ჭარმაგი და ახალგაზრდა ეთქმის.

ოთარ ნოზაძე.

ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

უმედლოდ არავინ დარჩენილა

პირეი (საბერძნეთი). თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში დიდი წარმატებით იასპარეზეს სოციალისტური ქვეყნების ათლეტებმა — 80 მედლიდან 29 დაისაკუთრეს. ერთადერთი ვერცხლის ჯილდო 48 კგ წონით კატეგორიაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელს რ. ჰოიგაბელს ხვდა.

გუნდური პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიპოვა. ხუთი ოქროს, ოთხი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი იმას ნიშნავს, რომ გუნდში უმედლოდ არავინ დარჩენილა.

ევროპის ჩემპიონის სახელი პირველად დაისაკუთრეს: კიზილელმა ალექსანდრე დორჟუმ (48 კგ), მოსკოველმა ხაზარაგ ალი-ოღლი ისაევმა (62 კგ), კრასნოიარსკელმა აბდულა მაჰომედოვმა (68 კგ) და გროზნოელმა ადლან ვარაევმა (74 კგ). ოლიმპიური ჩემპიონი მოსკოველი სანასარ ოჰანესიანი (90 კგ) უმაღლეს ტიტულს მეორედ დაეუფლა.

ვერცხლის ჯილდო ოთხ საბჭოთა ათლეტს ხვდა: მახაჩყალელებს რუსლან კარაევს (57 კგ) და ვაგაბ კაზიბეკოვს (82 კგ), აგრეთვე ტაშკენტელ ასლან ხადარცევს (100 კგ) და მინსკელ მალხაზ მერმანიშვილს (130 კგ). კიდევ ერთი მახაჩყალელი მინატულა დაიბოვი (52 კგ) მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა გვარებს:

48 კგ. 1. ა. დორჟუ (სსრ კავშირი), 2. რ. ჰოიგაბელი (გფრ), 3. ა. პაკურარუ (რუმინეთი).

52 კგ. 1. ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), 2. შ. ტრსტენა (იუგოსლავია), 3. მ. დაიბოვი (სრ კავშირი).

57 კგ. 1. გ. კალჩევი (ბულგარეთი), 2. რ. კარაევი (სსრ კავშირი), 3. ზ. კოლოძეი (პოლონეთი).

62 კგ. 1. ხ. ისაევი (სსრ კავშირი), 2. ვ. სავოვი (ბულგარეთი), 3. მ. სკუბაჩი (პოლონეთი).

68 კგ. 1. ა. მაჰომედოვი (სსრ კავშირი), 2. ს. შტერევი (ბულგარეთი), 3. ი. შიმანსკი (პოლონეთი).

74 კგ. 1. ა. ვარაევი (სსრ კავშირი), 2. კ. ტამადიანუ (რუმინეთი), 3. კ. ვესელინოვი (ბულგარეთი).

82 კგ. 1. ა. ნანევი (ბულგარეთი), 2. ვ. კაზიბეკოვი (სსრ კავშირი), 3. ი. ლოგინია (ჩეხოსლოვაკია).

90 კგ. 1. ს. ოჰანესიანი (სსრ კავშირი), 2. გ. ტოტი (უნგრეთი), 3. ტ. ვეგნერი (გდრ).

100 კგ. 1. გ. კარადუჩევი (ბულგარეთი), 2. ა. ხადარცევი (სსრ კავშირი), 3. უ. ნოიპერტი (გდრ).

130 კგ. 1. ა. შრიოდერი (გდრ), 2. მ. მერმანიშვილი (სსრ კავშირი), 3. ა. სანდურსკი (პოლონეთი).

გოგოლაძე მეექვსე იყო

ერევანი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ტანვარჯიშში. გუნდური გამარჯვება რუსეთის ფედერაციის პირველმა ნაკრებმა მოიპოვა — 567,2 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ბელორუსია I (563,95 ქულა), უკრაინა I (563,25 ქულა), სომხეთი (556,8 ქულა), რუსეთის ფედერაცია II (551,45 ქულა), უკრაინა II (551,35 ქულა).

პირად ჩათვლაში პირველი ადგილი ვლადიმირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ვლადიმერ არტიომოვმა დაიკავა — 115,2 ქულა. საპატიო თასიც მას გადაეცა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამარჯვებულმა ამ ცოტა ხნის წინ რთული ოპერაცია გადაიტანა.

ავადმყოფობის შემდეგ ფაქტიურად პირველად გამოვიდა შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ვლადიმერ გოგოლაძეც, რომელსაც მეექვსე შედეგი — 113,15 ქულა ჰქონდა.

საკავშირო თასის გათამაშება წყალბურთში

თბილისელები ბრძოლას გამოეთიშნენ

თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ბალტიკას" წყალბურთელთა შეხვედრა ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, საკავშირო თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად ორივე გუნდს, ბუნებრივია, ქულების დაგროვება სჭირდება, მეორეც, თბილისელი და ლენინგრადელი წყალბურთელები ამ შეხვედრამდე წლეულს ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში, სადაც ერთხელ „ბალტიკამ" იმარჯვა, მეორედ — „დინამომ". ამდენად, საკავშირო თასის გათამაშების წინასწარ შეხვედრაში გამარჯვების სასწორის ერთ-ერთი პინა რომელიმე გუნდის სასარგებლოდ უნდა გადახრილიყო, რაც, სხვა რომ არაფერი, პრესტიჟის საქმეც გახლდათ. სამწუხაროდ, როგორც ვიუწყებოდით, მასპინძლები დამარცხდნენ (6:9).

ამ გუნდების შეხვედრაში თანაბარი ბრძოლა ბოლო ორ პერიოდამდე გაგრძელდა. ტაბლოზე ხშირად საყაიმო ანგარიშს ვხედავდით. თუმცა, თბილისელები მაინც მდევრების როლში იყვნენ — „ბალტიკას" ერთბურთიანი უპირატესობით დაწინაურებას დინამოელთა მიერ ანგარიშის გათანაბრება მოჰყვებოდა, მეორე პერიოდის მერე კი, როგორც თასის წინა ორ შეხვედრაში, მასპინძლებმა სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ. ბურთის გატანის გამოყენებული და გამოუყენებელი შესაძლებლობების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ ამ მხრივ თბილისელები აშკარად მოიკოჭლებენ. მხედველობაში გვაქვს გამოყენება ეგრეთწოდებული ზედმეტი მოთამაშისა, რომელიც თბილისელებს, ლენინგრადელებისაგან განსხვავებით, არ სწყალობდათ.

დინამოელთა გამოსვლაში ხშირად შეიმჩნევა უყურადღებო თამაში. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ამიტომ მხოლოდ ერთს გავიხსენებთ. მესამე პერიოდის დასაწყისში, როცა დინამოელმა გვახარიამ ბურთი ხელში ჩაიგდო და იგი თავისიანებს გადაუგდო, თანაგუნდელებიდან არავინ ცდილა მის აღებას. სამაგიეროდ, მეტოქემ ბოლომდე იბრძოლა და ის ბურთი ხელშიც ჩაიგდო. „ბალტიკას" ამ იერიშს გოლი მოჰყვა და სტუმრები უკვე ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ. ფაქტიურად ლენინგრადელთა სასარგებლოდ მატჩის გარდატეხა სწორედ ამ დროს დადგა.

გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბალტიკა" — კჩფ (სევასტოპოლი) — 9:6, უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლა (კიშინიოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) — 5:12, **„დინამო" (თბილისი) — „უნივერსიტეტი" (მოსკოვი)** — 8:8.



თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ბალტიკას" წყალბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თბილისელებს, იმისთვის, რომ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი შეენარჩუნებინათ, „უნივერსიტეტთან" შეხვედრაში ჰაერივით სჭირდებოდათ გამარჯვება. დინამოელებმა ყველაფერი გააკეთეს საამისოდ, მათი გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ კვლავ ძალზე უფერულად ჩაატარეს მეოთხე პერიოდი, რომელიც პირწმინდად წააგეს — 1:4. საინტერესოა, რომ თბილისელებმა ასეთივე ანგარიშით მოიგეს მეორე პერიოდი. მასპინძლები მესამე პერიოდში შეხვედრას 7:4 იგებდნენ. ამ მომენტამდე მათ ზედიზედ ხუთი უპასუხო ბურთი გაიტანეს. უნივერსიტეტელები ბედის ჩარხის ასეთ შემობრუნებას ალბათ არ ელოდნენ. ისინი ძნელად თუ გაიხსენებენ, რომ მათ კარში ამდენი უპასუხო ბურთი გაეტანოს ვინმეს. გადამწყვეტ პერიოდამდე თბილისელები მშვენივრად იცავდნენ თავს მაშინაც, როცა მეტოქეს ზედმეტი მოთამაშე ჰყავდა, უფრო მეტიც — დინამოელებმა მეტოქეს ბურთის გატანის საშუალება არ მისცეს იმ დროსაც, როცა მოსკოველებს ორი მოთამაშის რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ.

თბილისელებმა მეოთხე პერიოდში მთლიანად დათმეს ინიციატივა, მაგრამ საქმის გამარჯვებამდე მიყვანა მაინც შეეძლოთ. საფინალო სასტვენამდე ოციოდე წამიღა რჩებოდა, თბილისელები მინიმალური ანგარიშით იგებდნენ შეხვედრას, ბურთსაც ისინი ფლობდნენ, მაგრამ უყურადღებოდ ითამაშეს და დაკარგეს. მოსკოველებმა უმალ ისარგებლეს ამით და ანგარიშიც გაათანაბრეს.

ამ ფრემ მოსკოველებს ფაქტიურად თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლა გაუხადლა, თბილისელებს კი იმედიც დააკარგვინა.

ავთანდილ ხუციშვილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

ერთი საბედისწერო ქულა

ზაპოროჟიე. დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. გამოვლინდა ექვსი უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც საპრიზო ადგილებისათვის გააგრძელებენ ბრძოლას.

ტურნირის ბოლო დღეებში ბევრი საინტერესო შეხვედრა ჩატარდა, მაგრამ გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე გავლენა არც ერთს არ მოუხდენია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელებმა ექვსიდან სამი ქულა აიღეს: დამარცხდნენ ლენინგრადის „ნევასთან“ (27:30), მოუგეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის წარმომადგენლებს (24:22) და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის ხელბურთელებთან (24:24). ამ სამი შეხვედრიდან ყველაზე გულდასაწყვეტია ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან ლენინგრადის „ნევასთან“ განცდილი მარცხი. გულდასაწყვეტია იმიტომ, რომ წარმატების შემთხვევაში ჩვენი ხელბურთელები უძლიერესთა ექვსეულში დაიმკვიდრებდნენ ადგილს.

პრინციპულ ხასიათს ატარებდა მინსკისა და მოსკოვის არმიელთა ორთაბრძოლა. ბელორუსიის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 21:19, თუმცა ტური დაუმარცხებლად ვერც მათ განვლეს. მეორე წრის უკანასკნელ შეხვედრაში კაუნასის „გრანიტასმა“ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან პრესტიჟულ წარმატებას მიაღწია — 23:21.

გთავაზობთ ბოლო სამი კალენდარული დღის ტექნიკურ შედეგებს: ასკ (კიევი) — სკიფ (კრასნოდარი) 21:21, ასკ (მინსკი) — „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) 36:25, „ზარია“ (ასტრახანი) — „კუნცევო“ 24:18, ცსკა — ზიი (ზაპოროჟიე) 23:15, მაი — „გრანიტასი“ (კაუნასი) 20:19, „პოლიოტი“ — „ზარია“ 26:24, სკიფ-ი—„ნევა“ 28:28, „კუნცევო“ — ასკ (კიევი) 22:21, „გრანიტასი“ — ზიი 28:19, „პოლიოტი“ — ასკ (კიევი) 30:26, მაი — სკიფ-ი 27:24, „ნევა“ — „კუნცევო“ 26:23, ცსკა — „ზარია“ 24:21.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
ასკ (მინსკი)	22	19	0	3	38
ცსკა	22	17	1	4	35
„გრან.“ (კაუნ.)	22	15	2	5	32
მაი	22	13	3	6	29
„პოლ.“ (ჩელ.)	22	12	4	6	28
ზიი (ზაპ.)	22	9	3	10	21
სპი (თბილ.)	22	9	2	11	20
სკიფ	22	6	6	10	18
„ზარია“ (ასტრ.)	22	5	3	14	13
ასკ (კიევი)	22	4	3	15	11
„ნევა“ (ლენ.)	22	3	5	14	11
„კუნცევო“	22	4	0	18	8

უძლიერესთა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: მინსკის ასკ-მ, ცსკა-მ, „გრანიტასმა“, მაი-მ, „პოლიოტმა“ და ზიი-მ. როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ხელბურთელებს ფინალში გასასვლელად ქულა დააკლდათ.

„მერანი“ № 8

გამოვიდა „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-8 ნომერი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი მკითხველებს სთავაზობს სამ საჭადრაკო ამოცანას, რომლებიც დიდ ბელადს ამოუხსნია.

ნომერში დაბეჭდილია მსოფლიოს ექსჩემპიონის, სსრ კავშირის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის ნაამბობი ქალაქ იერის (საფრანგეთი) ტრადიციულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში მისი მონაწილეობის შესახებ, აქვე გაეცნობით მსოფლიო პირველობის პრეტენდენტის ელენა ახმილოვსკაიას ნათამაშებ პარტიას ჩინელ დიდოსტატ უ მინციანთან.

გაზეთი აღნიშნავს ცნობილი ქართველი მოჭადრაკისა და არბიტრის ქსენია გოგთავას დაბადების 70 წლისთავს და ბეჭდავს მის მონათხრობს, „მსოფლიო ჩემპიონი ერთი თვით“.

ჭადრაკს ბევრი ტრფიალი ჰყავს. თამაზ ებანოიძე და თენგიზ გიორგაძე ორ მათგანზე — ოთარ ჯინორიაზე და გოგი კარსანიძეზე გესაუბრებათ.

აქვე გაეცნობით ამას წინათ ცხინვალში გამართულ საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოჭადრაკეთა ტურნირის შედეგებს.

ჭადრაკის კომპოზიციის სახალისო ჟანრზე მოგვითხრობს ცნობილი პრობლემისტი რევაზ თავარიანი. აქვე დაბეჭდილია კომპოზიციის საერთაშორისო და სსრ კავშირის დიდოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატების სია.

საინტერესო მასალებს გვთავაზობს რუბრიკები „ძველი ამბების სკივრი“, „კურიოზების ყულაბა“, „იუმორი“ და სხვ.

თქვენი სვლაა

ამოცანა

ვ. სერედა

(თბილისი)

1984 წ.



შამათი ოთხ სვლაში

„ლელოს“ 6 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ვ. ისარიანოვის ამოცანა ასე ამოიხსნება: 1. ლa5. 1. ...b2 2. ეh1+ მფa2 (2. ...b1ლ 3. ლ:a3X) 3. ლd5X; 1. ...მფa2 2. ეh1 მფb2 3. ლd2X;

ქალთა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში

თბილისის სპორტის სასახლე ხუთი დღე კალათბურთს დაეთმობა. 22 აპრილს აქ დაიწყება ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს. საასპარეზოდ შეიკრიბებიან ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის პირველი და მეორე, აგრეთვე საქართველოს ნაკრები გუნდები, რომ-

ლებიც 19-20 წლის სპორსტმენებით იქნება დაკომპლექტებული.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში უცხოეთის ქალთა გუნდები პირველად არ ჩამოდიან, მაგრამ ტურნირი ადრე არ გამართულა და ამდენად იგი ერთგვარად გამორჩეულია, განსაკუთრებით ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის ემზადება.

შეჯიბრება, როგორც მოგახსენეთ, 22 აპრილს დაიწყება და ექვსი დღის შემდეგ, 27 აპრილს დამთავრდება (25 აპრილს ტურნირის მონაწილენი დაისვენებენ).

პირველი სიმაღლე დაძლეულია

მოსკოვი. ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები ვადამდე დაისაკუთრეს.

მეხუთე ტურის მატჩებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნისა და კანადის ჰოკეისტთა შეხვედრამ, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 4:0. ამ გამარჯვებით სსრ კავშირის ნაკრებმა ფინალისტთა ოთხეულში თამაშის უფლებაც გაინაღდა.

ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	5	5	0	0	23-6	10
შვეცია	5	4	0	1	18-11	8
ფინეთი	5	3	1	1	14-13	7
აშშ	5	2	0	3	24-19	4
კანადა	5	2	0	3	19-17	4
ჩეხოსლოვაკია	5	1	1	3	12-12	3
გფრ	5	1	0	4	12-28	2
პოლონეთი	5	1	0	4	11-27	2

როგორც ხედავთ, ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა ოთხეულში მოსახვედრად საკმაოდ მძაფრად მიმდინარეობს. ოთხი უძლიერესი გუნდი 24 აპრილიდან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას შეუდგება, (წინასწარი შეხვედრების შედეგები მხედველობაში არ მიიღება). მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა 28 აპრილს გახდება ცნობილი.

ჭადრაკი

პრეტენდენტის მოკრძალებული შედეგი

პოლონეთის საჭადრაკო კავშირის 60 წლისთავის აღსანიშნავად ჭადრაკის მესვეურებმა ვარშავაში ქალთა საერთაშორისო ტურნირი გამართეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ხუთი ქვეყნის 14 წარმომადგენელი.

10 ქულით I ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ირინა ლევიტინამ. ქულანახევრით ნაკლები მოაგროვეს დიდოსტატებმა მარგარეტ ვოისკამ (ბულგარეთი) და ჰანა ერენსკა-რაძევსკამ (პოლონეთი), რომლებმაც II-III ადგილები გაიყვეს.

IV-V ადგილები გაიყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტმა დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ, რომელმაც, ისევე, როგორც პოლონელმა დიდოსტატმა აგნეშკა ბრუსტმანმა, 8 ქულა მოაგროვა.

რეგბი

საბჭოთა კავშირის რეგბისტთა ნაკრებმა გუნდმა ტუნისში, სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) ჩემპიონატის მორიგ მატჩში ანგარიშით 12:4 დაამარცხა მასპინძელთა გუნდი.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 20 აპრილი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. ასკ (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი). დასაწყისი 12 საათზე. იქვე — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი). 14 ს., გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „შევარდენი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური). 17 ს.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 20 აპრილი. რიტმული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.20 (1); ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში — 15.40 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: აშშ — კანადა — 16.00 (2); სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია — 19.30 (1); საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ. ტანვარჯიშში — 18.30 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 23.35 (1).

21 აპრილი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 10.15 (1); ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში — 19.20 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: შვეცია — ფინეთი — 22.40 (2); სპორტული კვირეული — 24.20 (1).

საკავშირო რადიო. 20 აპრილი. სპორტული დღიური — 23.40.

საქართველოს ტელევიზია. 20 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) — 19.00; სპორტული პროგრამა — „45 წუთი“ — 22.45; საფეხბურთო მიმოხილვა — 23.35.

საქართველოს რადიო. 20 აპრილი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.30.

21 აპრილი. დილის ტანვარჯიში — 6.23; ვარჯიში მოსწავლეთათვის — 11.40; სპორტის მოყვარულთათვის — 13.30.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი, (ჭავჭავაძის პრ. №74)

ფეხბურთი 22 აპრილი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა IX ზონა

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი)

გათამაშდება ლატარია ორი ავტომანქანა „ჟიგულის“ ურიგოდ შესაძენად, ავტომანქანების შესვლა სტადიონის ტერიტორიაზე იწარმოებს სპეციალური საშვით.

ბილეთების ფასია 1 მანეთი, ხოლო „ლოკომოტივის“ სტადიონის აბონემენტთა მფლობელთათვის — 50 კაპიკი.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 21 და 22 აპრილს დილის 11 საათიდან.

თამაშის დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

ფეხბურთი

25 აპრილი

18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩი.

სსრ კავშირი (ნაკრები) — რუმინეთი (ნაკრები)

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 23 და 24 აპრილს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 23 აპრილიდან.

აბონემენტების მფლობელებს ბილეთის შეძენა შეუძლიათ № 7, 8, 9, 10 სალაროებში 25 აპრილის 12 საათამდე.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 ს.).

რედაქტორის მოადგილე თ. ბაჩეჩილაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი იუწყებიან რომ გარდაიცვალა საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, დოცენტი

გრიგოლ მიხეილის ძე მამარდაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ., 14 დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები: სამდივნო — 93-97-52 ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53 წერილების განყოფილება — 93-97-55 „მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უ